

ტესტის სახელწოდება:

დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების (LDL) ტესტი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინის (LDL-C) ტესტი

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

ტესტი ადგენს სისხლში LDL-ის დონეს. LDL ლიპოპროტეინების ჯგუფია, რომელთაც «ცუდი ლიპოპროტეინების» სახელითაც მოიხსენიებენ, რადგან ისინი ზრდიან ათეროსკლეროზისა და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების რისკს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

LDL ტესტი ინიშნება გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკის შესაფასებლად. იგი გამოიყენება როგორც სკრინინგისთვის – პაციენტებში, რომელთაც სხვა რისკ-ფაქტორებიც აქვთ (დაავადების ოჯახური ისტორია, 45 წელზე მეტი ასაკი, სიმსუქნე, თამბაქოს მოხმარება და სხვ.), ასევე მონიტორინგისთვის იმ პაციენტებში, რომელთაც ლიპიდების მაღალი დონის ან გულის იშემიური დაავადების გამო უტარდებათ მკურნალობა.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

ანალიზისთვის სისხლის აღებაა საჭირო. სისხლს იღებენ ვენიდან ან, ზოგჯერ, თითის წვერიდანაც.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე პაციენტმა საკვების მიღებისგან თავი უნდა შეიკავოს. ზოგიერთმა მედიკამენტმა შესაძლოა ტესტის შედეგებზე გავლენა იქონიოს. მომზადებასთან დაკავშირებული დეტალური მითითებების მისაღებად საჭიროა ექიმთან კონსულტაცია.

შედეგების ინტერპრეტაცია:

LDL-ის მაღალი დონე ზრდის ათეროსკლეროზისა და გულის შეტევების რისკს. ანალიზის პასუხების სწორად ინტერპრეტირებისათვის, LDL ტესტის შედეგებთან ერთად, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სხვა რისკ-ფაქტორებიც.